ОРТ-ЗАЛОГ ЗДОРОВЬЯ

ფიზიკური კულტურა და სპორტი — ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში!



ეს ფოტოები ფოტოკორესპონდენტმა ამ დღეებში გადაიღო ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისანში“. ამ ინტერნაციონალურ კოლექტივში უყვართ ფიზკულტურა და სპორტი. ისნელები სისტემატურად მონაწილეობენ სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებაში და ხშირად იმარჯვებენ, თუმცა აქ მთავარი ყურადღება მაინც ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას ეთმობა. საწარმოო ტანვარჯიში, მშთ ნორმატივების ჩაბარება, ტურიზმი... მუშა-მოსამსახურეები ხალისით გამოდიან სპორტულ მოედნებზე და თავისუფალ დროს სხეულის გასაკაჟებლად იყენებენ.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 210
(7521)

2
1983 წ.
ნოემბერი.
ოთხშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

● ძალოსნობა

23 მსოფლიო რეკორდი

გუშინწინ მოსკოვში დამთავრდა ძალოსანთა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატი.

ბოლო დღეს სუპერმძიმეწონოსნები ასპარეზობდნენ. ისევე როგორც 100 კგ წონის ათლეტებში, აქაც ბრძოლა ძირითადად საბჭოთა სპორტსმენების, კიეველ ა. პისარენკოსა და სსრ კავშირის ხალხთა VIII ზაფხულის სპარტაკიადის ჩემპიონს, გროდნოელ ა. კურლოვიჩს შორის გაიმართა. ორჭიდში ორივემ ერთნაირი შედეგი 450 კგ აჩვენა, მაგრამ პისარენკო მეტოქეზე 400 გრამით მსუბუქი აღმოჩნდა და ოქროს მედალიც მას ერგო. კიეველი ძალოსანი ზედიზედ მესამედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. მან 23-ე მსოფლიო რეკორდი დაამყარა — ატაცში დაძლია 206 კგ. ბრინჯაოს მედალი ერგო ბულგარელ ა. კრასტევს — 427,5 კგ.

გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა ძალოსნებმა გაუსწრეს ბულგარელებს. მათს ანგარიშზეა 12 ოქროს, 8 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი. საბჭოთა ათლეტებმა მოსკოვის ფიცარნაგზე 6 უმაღლესი წოდება მოიპოვეს. მათმა მთავარმა მეტოქეებმა, ბულგარელებმა კი 3. ერთი უმაღლესი წოდება დარჩა გდრ-ის წარმომადგენელს. რეკორდსმენთა რეკორდსმენის წოდება მიეკუთვნა და პრიზი „ოქროს კილოგრამები“ გადაეცა მსოფლიო ჩემპიონს, ერევნელ ო. მირზოიანს (56 კგ წონითი კატეგორია).

● კალათბურთი

პირველი წრის ფინიშზე

გუშინწინ მოსკოვში გაიმართა კალათბურთელ ქალთა გუნდების პირველი წრის უკანასკნელი მატჩები, რომელმაც დაასახელა ის 6 გუნდი, სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლებისთვის რომ გააგრძელებს ბრძოლას. ამ დღის მატჩები ასე დამთავრდა: ცსკა — „სტროიტელი“ (კიევი) 79:68 (35:29), „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — ასკ (რიგა) 113:92 (51:47), ვეფ (რიგა) — „უნივერსიტეტი“ (ტაშკენტი) 91:111 (45:42), „დინამო“ (თბილისი) — „სტატიბა“ (ვილნიუსი) 91:111 (43:48), „კალგირისი“ (კაუნასი) — „დინამო“ (მოსკოვი) 116:103 (48:57), რტი (მინსკი) — ასკ (კიევი) 66:75 (35:43). საკავშირო ჩემპიონატის 6 უძლიერესი გუნდი ქულათა ამ მარაგით გააგრძელებს ბრძოლას: „კალგირისს“ 4 გამარჯვება, ცსკა-ს, „სტროიტელსა“ და თბილისის „დინამოს“ — 3-3, „უნივერსიტეტს“ — 2, კიევის ასკ-ს — არც ერთი.

მდგომარეობა I წრის შემდეგ

	მ.	წ.	ბ.	ქ.
„კალგირ.“	10	1	1094—907	10
„სტროიტ.“	7	4	954—887	7
„დინ.“ თბ.	7	4	983—976	7
ცსკა	7	4	976—872	7
„უნივერს.“	7	4	984—952	7
ასკ კ.	6	5	872—882	6
ვეფ რ.	6	5	941—974	6
„დინ.“ მ.	4	7	986—997	4
„სპარტ.“	4	7	883—904	4
„სტატ.“ ვ.	3	8	987—1017	3
რტი მნ.	3	8	893—990	3
ასკ რ.	1	10	898—1050	1

ტანვარჯიშის ახალი ჰორიზონტები

ბუდაპეშტის სპორტის სასახლის სარბიელზე დამთავრებული ტანმოვარჯიშეთა XXII მსოფლიო ჩემპიონატის შედეგებზე თავიანთ აზრს გვიზიარებენ:

ხუან ანტონიო სამარანჩი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი:

— სპორტული ტანვარჯიში ერთ-ერთი წამყვანი ოლიმპიური სახეობაა და მიხარია, რომ იგი ასე სწრაფად ვითარდება, სულ უფრო პოპულარული ხდება მთელს მსოფლიოში. ოლიმპიური მოძრაობის ზრდა ბევრადაა დამოკიდებული სპორტის სახეობათა განვითარებაზე. ახლახან ოლიმპიური სტატუსი მიიღო მხატვრულმა ტანვარჯიშმა. ვფიქრობ, ეს ოლიმპიურ თამაშებს უფრო ლამაზსა და მრავალმხრივს გახდის.

იური ტიტოვი, ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი:

— წლევანდელი ტურნირი ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ როგორ გაიზარდა ტანმოვარჯიშეთა ოსტატობის დონე. მსგავსი შეჯიბრებების ჯილდოებისთვის ბრძოლა იმდენად გამწვავდა, რომ პროგნოზების გაკეთება სულ უფრო ძნელდება. სპეციალისტებიც და ტანვარჯიშის მოყვარულებიც მიიჩნევენ იმ ქვეყნების წარმომადგენელთა წარმატებულ გამოსვლებს, რომლებიც კარგა ხანია მოდების კანონმდებლად ითვლებიან სპორტის ამ სახეობაში. მხედველობაში მყავს სსრ კავშირის, რუმინეთის, იაპონიის, გდრ-ის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, აშშ-ს სპორტსმენები. მაგრამ წლევანდელმა ჩემპიონატმა გვიჩვენა, რომ საერთაშორისო სარბიელზე მათ „მშვიდი ცხოვრება“ არ ექნებათ. მსოფლიო პირველობის საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე პირველად ავიდა ბულგარელი ტანმოვარჯიშე ბორიანა სტოიანოვა, ასევე პირველად მოიპოვა ვერცხლის ჯილდო ფრანგმა სპორტსმენმა ფილიპ ვატონმა, ფინალში კარგად იასპარეზეს კუბელებმა კასიმირო სუარესმა და რობერტო ლეონმა. ვფიქრობ, მათი წარმატებები სტიმულს მისცემს ამ ქვეყნებში ტანვარჯიშის ინტენსიურ განვითარებას.

კოძი გუსიკენი, იაპონიის ვაჟთა ნაკრების ლიდერი:

— ვფიქრობ, იაპონიის ტანვარჯიში ამ ჩემპიონატიდან დაიწყებს თავის ახალ „წელთაღრიცხვას“. იმედით გვავსებს, ის, რომ ჩვენმა გუნდმა ძლიერ მეტოქეებთან მწვავე ბრძოლაში ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. მართალია, ჩვენ რამდენადმე დავთმეთ პოზიციები, მაგრამ ახლა ოსტატობის გაკვეთილებს ვიღებთ სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტანმოვარჯიშეებისაგან, ამავე დროს არ ვივიწყებთ ტანვარჯიშის სამამულო სკოლის ტრადიციებს.

ახალგაზრდა დიმიტრი ბილოზერჩევის გამარჯვება კანონზომიერი იყო. ამ შესანიშნავ ოსტატს, ჩემი აზრით, კიდევ აქვს უნარი სრულყოს თავისი ხელოვნება. ბოლო წლებში ბევრ ქვეყანაში საინტერესო ტანმოვარჯიშეები გამოჩნდნენ.

ლიდია ივანოვა, წარსულში ცნობილი ტანმოვარჯიშე, ოლიმპიური ჩემპიონი, ტურნირის მსაჯი:

— ბუდაპეშტის ჩემპიონატმა ტანვარჯიშის ახალი ჰორიზონტები გადაგვიშალა. არ მახსოვს მსგავსი მწვავე ბრძოლები, ყველა მონაწილის ოსტატობის ასეთი მაღალი დონე. ელემენტები, რომლებიც სულ ახლახან ფანტასტიკურად ითვლებოდა, დღეს უმრავლესობისთვის მისაწვდომი გახდა. ვირტუოზულობა, სილამაზე, მოხდენილობა — აი, წარმატების საწინდარი.

ბრძოლის სიმწვავეზე, ბევრი ტანმოვარჯიშის ბრწყინვალე მომზადებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ პირად ტურნირში ვერც ერთმა ვერ შეძლო ერთზე მეტი ოქროს მედლის მოპოვება, ვფიქრობ, მაყურებლებს დიდხანს არ დაავიწყდებათ რუმინელი ეკატერინე საბოს მიერ შესრულებული ბრწყინვალე თავისუფალი ვარჯიში, ბულგარელი ბორიანა სტოიანოვას სრულყოფილი ნახტომი, მაქს გნაუკის (გდრ) დახვეწილი ტექნიკა ორძელზე, მოსკოველი ოლგა მოსტეპანოვას ვირტუოზულობა დვირზე. და, რა თქმა უნდა, ტანვარჯიშის ის სილამაზე და გრაცია, რომელიც აქ, ბუდაპეშტის სპორტის სასახლის სარბიელზე ჩვენმა აბსოლუტურმა ჩემპიონმა ნატალია იურჩენკომ აჩვენა.

(საკდესი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1983 წლის 31 ოქტომბერს უეცრად გარდაიცვალა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი შარაფ რაშიდის ძე რაშიდოვი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი	სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი	სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

კვლავ მეათე ადგილზე

ასპარეზობენ დოსააფელი სპორტსმენები

საქართველოს დოსააფელ სპორტსმენებს საბჭოთა კავშირის ხალხთა ზაფხულის VIII სპარტაკიადის ფინალურ ასპარეზობაზე წლეულს დიდი გამოცდა ჰქონდათ. ეს სპარტაკიადა სვერდლოვსკში აპრილში დაიწყო რადიოგრამების მიღება-გადაცემით და ოქტომბერში ტყვიის სროლით დამთავრდა. 21 ქალაქში 6 თვეს მიმდინარეობდა ფინალური ასპარეზობა სპორტის 29 ტექნიკურ და სამხედრო-გამოყენებით სახეობაში. საქართველოს სპორტული კოლექტივი 26 სახეობაში ასპარეზობდა. ჩვენი ნაკრები ბალტიისპირეთისა და ყაზახეთის რესპუბლიკებთან ერთად მეორე ქვეჯგუფში გამოდიოდა. გუნდმა 1431 ქულა მოაგროვა, მე-5 ადგილი დაიკავა და როგორც წინა, VII საკავშირო სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებაში, ახლაც საერთო ჩათვლაში მეათე ადგილზე გავიდა.

ოთხი სპორტსმენი — პ. შარიფაშვილი, დ. ჩხაიძე (ავტომოდელიზმი), რ. აკოფოვი (კარტინგი) და ნ. უშმაევი (საპარაშუტო სპორტი) — ჩემპიონი გახდა. ექვსმა ჩვენმა სპორტსმენმა შეასრულა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი, ცხრა სპარტაკიადის პრიზიორი გახდა, ავტომოდელიზმში მესამე, ხოლო მრავალდღიან მოტორბოლაში მეორე საპრიზო ადგილი მოვიპოვეთ. სულ ეს არის ჩვენი სპორტსმენების ნადავლი.

საკავშირო სპარტაკიადაზე უხეიროდ გამოვიდნენ ჩვენი საწყლოსნო-სამოტორო სპორტის წარმომადგენლები (მე-13 ადგილი), საზღვაო მრავალჭიდელები (მე-13), სპორტული რადიოპელენგაციის ნაკრები (მე-12), მოტოკროსმენები (მე-12), წრიულ ავტორბოლაში (მე-10), წრიულ მოტორბოლაში (მე-9), ხოლო დელტაპლანერისტები, უვარგისი აპარატების გამო, საერთოდ არ დაუშვეს ასპარეზობაზე.

წარუმატებლობაზე ბევრი შეიძლება ილაპარაკო. მიზეზი? რამდენიც გნებავთ. პირველ რიგში: რეზერვების სიმცირე, მწვრთნელთა დაბალი კვალიფიკაცია, 5-მილიონიანი რესპუბლიკის ნაკრები გუნდები დაკომპლექტებულია მხოლოდ სპორტულ-ტექნიკური კლუბების სპორტსმენებით. რაიონებსა და ქალაქებში თითქმის არაფერი კეთდება, გვაკლია სპორტის განვითარების თავიდათავი — მასობრიობა. ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა სპორტის ტექნიკურ და სამხედრო-გამოყენებით სახეობებს. დრო კია, რომ მდგომარეობა გამოსწორდეს.

საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს დოსააფელ სპორტსმენთა შედეგებზე, საერთოდ, რესპუბლიკაში სპორტის ტექნიკური და სამხედრო-გამოყენებითი სახეობების სადღეისო მდგომარეობის შესახებ ველით გამოხმაურებას სპორტის მესვეურებისგან. ჩვენი გაზეთი სიამოვნებით დაუთმობს მათ ადგილს საქმიანი საუბრისთვის რეზერვების ამოქმედების საშუალებებზე, ხარვეზების აღმოფხვრის გზებზე, სპორტის პროპაგანდაზე და სხვა.

გ. ბარჯაძე.

ცხენენჯი

ეს დიალექტური სიტყვა ჯერ ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკონში არაა შეტანილი. საჭირო კი არის: „ცხენენჯი" მხოლოდ მხედარს, ცხენოსანს არ ნიშნავს. შეიძლება ცხენების მოვლაში დაბერებული მეჯინიბეც, ვეტერინარიც ან თავგამოდებული მოყვარულიც ვერ იყვნენ ცხენენჯები. „ცხენენჯიაო" იტყვიან ისეთ კაცზე, რომელიც მხედარიცაა და ამავე დროს თვით ცხენისა და ცხენოსნობის საიდუმლოების ღრმად მცოდნეც, ამ ცხოველს შეთვისებია, ჭეშმარიტად ცნობს, მის ინდივიდუალურ ხასიათსა და აღნაგობის ყოველ წვრილმანს თანდაყოლილი ალღოთი ჩაწვდენია. ასეთია ზოგადი ტიპი. სხვადასხვა ეპოქასა და ქვეყანაში სრულიად განსხვავებული ბედისა და ცხოვრების წესის მქონე ადამიანები იყვნენ ისინი. ცხენენჯები იყვნენ ცხენთა ხედვნისა და წვრთნის უძველესი, ძვ. წელთაღრიცხვით XIV ს. ხეთური ტრაქტატის ავტორი კიკული, ბევრი ქართველი მეფე და გლეხი, ალექსანდრე მაკედონელი, პარიზის ცირკის მსახიობი ვიქტორ ფრანკონი, გრაფი ორლოვ-ჩესმენსკი და სხვანი და სხვანი...

ათიოდე წლის წინანდელი ამბავია: გვიანი შემოდგომის საღამო იყო, ჟინჟღლავდა, ციოდა. თბილისის იპოდრომის ჩაბნელებული თავლებისაკენ მივდიოდი; ვიცოდი — გაქირავების პუნქტისა და მანეჟის უფროსი მეცადინეობის შემდეგ შინ წასვლამდე აუცილებლად თავის თავლაში შეყოვნდებოდა, მას ზემოხსენებული კიკულის სიტყვებიც შეეძლო გაემეორებინა — „ღამე რომ მიილევა და ჯერ დილა არც დამდგარა, ცხენების სადგომს მივაშურებ..." — მაგრამ, ვიცოდი, რომ მაღალფარდოვნება არ უყვარდა და ერიდებოდა ურუსოვის ძველ წიგნში ამოკითხული ერთი სადოღე ტერმინის გამო დავლაპარაკებოდი.

— ეგერაა შენი კნიაზი, თავლაში, — თითქოს ბრაზით მითხრა ახლად მოტანილი ნახერხის გროვასთან მდგარმა მოხუცმა, დაუძლურებულმა მეჯინიბემ.

საჯინიბოში ერთ-ერთი სადგომის კარი მოღიავებული იყო, ურიკის თვლები მოჩანდა ბაწრეს სიღრმიდან, ისმოდა ლითონის ღრჭიალი; კრაველის გალიბანდიანი ბერიკაცი კოჭებამდე წუნწუხში იდგა და უზარმაზარი თუნუქის ნიჩბით ურიკას ნეხვით ავსებდა. კუთხეებში შერჩენილი გაშავებული ნახერხიც გამოშალა, წუნწუხიც ამოამშრალა და ბოლო ნიჩაბი დაუდო. მთავარი საქმე გაკეთებული იყო. ურიკის გატანა, ნახერხით ავსება და სადგომში დაცლა ბევრად იოლი და სასიამოვნო საქმეა.

გარეთ ისევ წვიმდა. ბექებში ოდნავ მოხრილმა მოხუცმა სველ ბალახს შეაწმინდა ჩექმები. ხელსახოცი ჯიბეში ჩაიბრუნა, თეთრი პერანგის საკინძე შეიბნია; ამოიოხრა.

— კი, მასეა, „პეისი" სისწრაფეს, აჩქარებას ნიშნავს, ინგლისურია; უყვარდათ მაგათ მასეთი სიტყვები. ჟოკეის თუ პეისის გრძნობა არა აქვს, რა ჟოკეია! — მერე უცებ ჩაეღიმა:

— ა, ბატონო, ხო ხედავ, მოისხი იმ ცხენის მადლი; ა, ხო ხედავ!

გაკვირვებულმა შევხედე; თავლაში შევბრუნდით. აქ უკვე მკაფიოდ ისმოდა დიდი, მძლავრი სხეულის ხეთქების ხმა; სადგომთან მივედით და რკინის გისოსებიდან დავინახეთ ახალ, სურნელოვან ნახერხში როგორ გორაობდა ანტრიველის ცხენსაშენში გაზრდილი ინგლისური ჭურანა ულაყი, ადრე დერბის მოგები, ახლა კი გაქირავების პუნქტის მაშინდელი უფროსისა და ერთადერთი მწვრთნელის ბონდო დადიანის მარჯვენა ხელი — უწყინარი და ყველანაირი მხედრისათვის დაუზარებლად მშრომელი „ლადნი"...

ბონდო (ნიკოლოზ) დადიანი ძველი კაცია, ძველი მხედარი, ძველი კავალერისტი; ძნელი წლებისა და ცხოვრების გადამტანი. დიდი კულტურული და ეროვნული ტრადიციების ოჯახის შვილია და ადრიდანვე ჩასწვდა „ათასად გვარი დაფასდის..." ღრმა აზრს. თბილისის კადეტთა კორპუსიდან ელიზავეტგრადის (ახლანდელი კიროვოგრადი) უმაღლეს საკავალერიო სკოლაში გადავიდა სასწავლებლად. „... მაშინდელი ჩემი ამხანაგებიდან ერთიღაა ცოცხალი — როგალიოვი (გიორგი ტიმოფეევიჩ!), ცხენოსნობას გაჰყვა ისიც. მოსკოვის დახურული მანეჟის უფროსია, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი. ხუთი უცხო ენის მცოდნე, ვხვდებოდით ხშირად..."

რევოლუციამ სასწავლებლის დამთავრებამდე მოუსწრო ჭაბუკ პოდპორუჩიკებს; სამ ქართველ ნაოფიცრალს სამოქალაქო ომით შეკრული ვრცელი რუსეთის გზების გადმოლახვა მოუხდათ, რათა სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. ერთხანს ბუდიონის I საცხენოსნო არმიაში იბრძოდნენ.

საქართველოში დაბრუნებისას ბ. დადიანი თურქებისგან ბათუმის დასაცავად იბრძოდა („...ბევრი კაი ბიჭი დაიღუპა მაშინ. ბიკა კორძაიას მამაც იქ იყო."). შემდეგ კი თავისი მოწიფულობის, ჭარმაგობისა და მოხუცებულობის საუკეთესო წლები იმ საქმეს შეალია, რისი ნიჭიც და ცოდნაც სისხლში გამჯდარმა მამაპაპურმა მიდრეკილებამ და ჭაბუკობიდანვე განვლილმა საფუძვლიანმა სკოლამ შესძინა. ქუთაისში იპოდრომი და საცხენოსნო ბაზა დააარსა, — თვითონაც მონაწილეობდა დოღში, ეროვნულ სახეობებში (ისინდი, ცხენბურთი). შემდეგ 1960 წ. თბილისში გადმოვიდა, მაშინ, როდესაც კაპიტონ ნაჭყებიას ხელმძღვანელობით საფუძველი ეყრებოდა თბილისის ახალ იპოდრომს. აქვე, უშუალოდ ბ. დადიანის მონაწილეობით აშენდა დახურული მანეჟი (საბჭოთა კავშირში მესამე — მოსკოვისა და ლენინგრადის მანეჟების შემდეგ), ახლაც, საცხენოსნო სპორტისთვის ესოდენ აუცილებელი ნაგებობა, მხოლოდ დიდ საცხენოსნო ცენტრებს (კიევი, ალმა-ათა...) თუ აქვთ. მას შემდეგ ბ. დადიანი ამ მანეჟის უერთგულესი მუშაკია.

* * *

„...ქუთაისის გუნდი, მართალია, საპრიზო ადგილებზე ვერ გადიოდა, მაგრამ ყველა რესპუბლიკურ შეჯიბრებებში ვმონაწილეობდით და უკანასკნელებიც არ ვიყავით. ახლა ისიც ვთქვათ, რომ მაშინ (ომის შემდგომ წლებზეა ლაპარაკი) 17 (!) გუნდი მაინც გამოდიოდა. ისინდსა და ცხენბურთში ნამდვილი ტურნირები იმართებოდა, ახლა ფაქტიურად საჩვენებელი გამოსვლები იმართება (გუნდები არაა და იმიტომ), თბილისში კი საერთოდ ეროვნული სახეობანი თითქოს არც არსებობს. მათი ასე მივიწყება ძალიან დასანანებელია! იყვნენ, აბა რა, ნამდვილი ცხენოსნები! მაშინ, ომამდე და ომის შემდგომაც პროფესიონალი მწვრთნელები ნაკლებად გვყავდა. კარგი, ამ საქმისათვის თავდადებული მუშაკები თვითონ იყვნენ მხედრებიც და თავისი მაგალითით ახალგაზრდობის აღმზრდელებიც. ზუგდიდში ასეთი მხედარი იყო საშა დარასელია, გუდაუთაში — ზ. ანშბა (საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც გახდა ჩეხვაში), სიღნაღში — ფორე მჭედლიშვილი (ჩეხვაში იყო მაგარი, იორღა ცხენების დოღშიც გამოდიოდა კარგი ცხენით), ფოთში — ვალიკო მაჭავარია, კოსტა შურღაია, მისი ბიჭი ცეზარი, ი. ლოდპაჭე; სენაკში (ცხაკაიაში ესე იგი) — გვევჯე ივანიძე, წალენჯიხაში — შალიკო კვარაცხელია, აბაშაში — ძმები კუპრეიშვილები; ქუთაისშიც მყავდა კაი ბიჭები: ბუჭუ გამრეკელიძე, ა. კილაძე, მამია ჯანელიძე, ილუშა რევიშვილი. რა ვქნა, ქუთაისი მაინც უფრო მახსოვს ბერიკაცს.

...თბილისში, დიდუბის ცნობილ იპოდრომზე მაშინ შესანიშნავი ქართველი ჟოკეების მთელი დასი გამოდიოდა: გრიშა ქიქავა, კოტე ყოჩიაშვილი, კ. სურმავა, ალიოშა ხაინდრავა. მე პირადად ალიოშასთანა ჟოკეი არ მეგულება. აი, ვის შეეძლო ცხენის დაყოვნება. ნახევარი, ერთი კორპუსით მიაყოლებდა მშვიდად თავის ცხენს ლიდერებს და ფინიშამდე ხუთიოდე მეტრი რომ დარჩებოდა, იმ ერთ წამში განმუხტავდა ცხენში ჩაგროვილ ბრძოლის ჟინსა და ენერგიას. არიფი მაყურებლისთვისაც დიდებული სანახაობა იყო, ხოლო ვინც საქმის არსი იცოდა, იმისთვის ასეთი დოღი ნამდვილ ზეიმად იქცეოდა (იმიტომაც დადიოდა ამდენი ხალხი). ალიოშას ბიჭებიც — ფაცო და ნოდარი კარგი მხედრები იყვნენ. ახლა, ღმერთო შემინდე, და შეიძლება გამომრჩეს კიდეც ბევრი კაი ბიჭი (ვინც ცოცხალია, უნდა მაპატიოს; ისე, მაქვს ჩანაწერები, მისახედია ოღონდ). კარგი საქმე გააკეთა თენგიზ გაჩეჩილაძემ, როცა თავის პატარა წიგნში კეთილი სიტყვით გაიხსენა ეს ხალხი. საჭიროა ყური გავუხედნოთ საზოგადოებასაც, სპორტის მესვეურებსაც, თორემ ცოტა მივიწყებული და დაჩაგრული მეჩვენება ჩვენი ცხენოსნობა.

...საერთოდ წლების მანძილზე საცხენოსნო შეჯიბრებების დიდი ორგანიზატორები იყვნენ ძველი კავალერისტი მიშა ჭავჭავაძე და ეროვნულ სახეობათა ენთუზიასტი ისაკ კიზირია. თბილისში ცხენოსნობის, განსაკუთრებით კლასიკურ სახეობათა დანერგვა 40-იანი წლებიდან მალხაზ ერისთავის, მიშა მაჩაბლის, ზაზა ამილახვრის, ოსკარ როგეს, ვექვე ძიძიგურის (მისი ბიჭი მურიკო ჩვენთან პირველი სრულ სპორტის ოსტატი გახდა ცხენოსნობაში) დამსახურებაა. ამ ხალხის მოწაფეები იყვნენ მაშინდელი შესანიშნავი თბილისელი ბიჭები და გოგოები: დიტო წვერავა, რეზო მანჯავიძე, ლევან დემეტრაძე, მერი ცანავა, ლეილა დანელია, ნინო რონიშვილი და სხვ. რაც მთავარია, მათი უმრავლესობა დღემდე აქტიურად მონაწილეობს ჩვენს საცხენოსნო ცხოვრებაში. შემდეგ კი, სიკვდილამდე, ბიკა კორძაია უდგა სათავეში ამ საქმეს და დღეს თუ საერთოდ საქართველოში რაიმე მიღწევა გვაქვს ამ დარგში, ეს მისი — როგორც ორგანიზატორის, მწვრთნელის, მსაჯის — დიდი მუშაობის შედეგია.

ძალიან გამიხარდა სპარტაკიადაზე ჩვენების კარგი გამოსვლა. უნდა მივულოცო ნაკრების უფროს მწვრთნელს — კირიაკ გაშიბაიაზოვს და ყველა მონაწილეს! არც საერთო V, არც ხტომებში VI და არც სამჭიდელების II ადგილი არაა ხუმრობა. მაგათში ძალიან აქებენ ჯაფარიძეს, ნარმანიას, თუაევს — მე პირადად არ მინახავს მაგათი გამოსვლა. ისე დანთი ხოფერიამ, შოთა აფციაურმა, ავთო კიკიანმა (შემდეგ ცხენის გაწვრთნილობის შესანიშნავმა ოსტატმა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა) და შემდგომ რეზო მესტვირიშვილმა მაღალ დონეზე აიყვანეს ჩვენში სამჭიდი.

ხტომებში ახლანდელთაგან ძალიან მომწონს ხარლამ სიმონია, ძლიერია ზურიკო დუნდუა (მეტი გარჯა მართებს), ვნახოთ, აწი როგორ გაიზრდებიან ჯლარკავა და შელია. ძალიან კარგად გამოდიოდა ხტომებში (აკადემიურად!) მიშა ტატიშვილი, ადრე იყო მისი დირექტორობა — ჯერ კიდევ უნდა ეხტუნავა და იმიტომ ვამბობ, თორემ რაღაც სამ წელიწადში მშვენიერი ბავშვები და ცხენები გამოზარდეს ამ სკოლაში..."

* * *

ახლა ბ. დადიანი იპოდრომის მანეჟის რიგითი მწვრთნელია: ცხადია, უჭირს ძველებურად საათობით მანეჟის შუაგულში დგომა და დამჯერე ახალბედებისა თუ რაღაცის მცოდნე ონავარი ყმაწვილების ვარჯიში, არც აძალებენ (მარტო აღარაა). ცოტა ადრე ძველი სიამე — მეგობარ-ამხანაგებში წყნარ, სადა სუფრაზე პურის გატეხვა დათმო. თუმცა იხტიბარს არ იტეხს („მე მხოლოდ კარგ ხალხთან გიახლებით კარგ ღვინოს! ჰოდა მოგეხსენებათ, ჩემო ბატონო..."). იშვიათად ავადმყოფობის ნებასაც მისცემს თავს; მაგრამ მისი გამოცდილება, კლასიკური, ეროვნული ცხენოსნობისა



და ცხენთა გამოცდის ჩამოყალიბებული სკოლა, წესრიგისა და დისციპლინის სიყვარული და მკაცრი მოთხოვნა შეუცვლელს ხდის ამ ფიცხ და ხანდახან გაავებულ, მაგრამ თავის საქმეში ყოველთვის სამართლიან მოხუცს. საერთოდ, ამიტომ იყვნენ ყოველთვის ხალხში დაფასებული ღირსეული „ძველები".

...შემოდგომის მზიანი დღეა. დამთავრდა მორიგი მეცადინეობა. ცარიელდება მანეჟი (ახლა თავლა აქვეა, მანეჟის გვერდით). ისმის გემრიელი ხრამუნი და ფრუტუნი.

— ახლა მიგაქვს თივა? უნდა დაგეხვედრებინა! რატომ არ უხურავ სარკმელს დაღლილ ცხენს! — ძველი კაცი ახლაც არ ღალატობს ოდინდელ ჩვევებს. ისმის მკვეთრი, მბრძანებლური ხმა. ჭაბუკი მეჯინიბე იკრიჭება, მაგრამ ხვდება, რომ მართალს ეუბნებიან და ზლაზვნით მიაშურებს საქმეს. ოცი ცხენი ყურაცქვეტილი იყურება დერეფნისკენ. ორიოდე წლის წინ, ამ ხმის გაგონებაზე, სანამ მოყვარული მხედრები სადავის მოზიდვას მოასწრებდნენ, ეს ცხენები თვითონვე ასრულებდნენ სხვადასხვა სამწყობრო ბრძანებებს: ბრუნვებს, ალურების ცვლას, შეჩერებას, დაძვრას... ისინი გრძნობდნენ ამ ხმას — მკაცრს, შეუვალს, მაგრამ გულითადს, მზრუნველს, მათი ბედ-იღბლის მოზიარე კაცის ხმას. არ არსებობს ცხენოსნობის მეტ-ნაკლებად საფუძვლიანი სახელმძღვანელო, სადაც ლაპარაკი არ იყოს ცხენოსნობაში, ცხენის გამოზრდასა და წვრთნაში ადამიანის ხმის მნიშვნელობაზე. თავლაშიც და გარეთ ცხენს ბევრნაირი ხმა ესმის: ფსევდოსაქმიანი ყვირილი, ძალად დაბოხებული „ვაჟკაცური" შეძახება, მლიქვნელურ-ფამილარული ენის მოჩლექა, მაგრამ პირუტყვი არ ტყუვდება: ნამდვილი მეგობრისა და მით უმეტეს ძველი ცხენენჯის ხმას უმალ გამოიცნობს და ყურსაც მიაპყრობს.

ამიტომ დგას ახლა ყურაცქვეტილი 20 ცხენი და მორჩილად ელის ძველი ნაცნობის სტუმრობას.

— ეს პირჩვილი და ფიცხი ფაშატია, ყველას შეჯდომა და ასე უდიერად სადავის ქაჩვა შეიძლება ამისი? „რაინდი" ცოტა შეიფერთხა; პატარა დასვენება არ აწყენდა. ეჰ, ეს კი დაგვიბერდა. — იგი კარს აღებს და მაღალ თეთრ ცხენთან შედის. ესაა უხნესი ცხენი მთელი იპოდრომის არემარეზე. მრავალი ალლურისა და მსვლელობის დამამშვენებელი. ძველი ლურჯობის კვალი ოდნავღა ეტყობა სახტომ სახსართან. ეგ კი არა, ალაგ-ალაგ, ფერდებსა და მკერდზე, ჟავისფერი ტალებიც დაჩნევია — ულმობელი ღრმა სიბერის ნიშანი, კარების თავზე სახელთან ერთად დაბადების წელი — 1961 — რომ არც ეწეროს!

ცხენი კისერს დრეკს, ღილავს. რამდენიმე წლის წინ, როცა ჯერ კიდევ ხალისით ხტებოდა ბარიერებზე, თუმცა გაჯიუტებაც და მხედრის დაჩაგვრაც უყვარდა, ბ. დადიანი მხედარს წაეხმარა: გვერდზე გასახტომად გამზადებულ ბერკვიცს შოლტი გადაუჭირა და ეს სამუდამოდ ახსოვს თეთრონს, მაგრამ კბენია საჯაგავივით ყურების დალურსვას არც თავისთავს — ორლოვურ-სტრელეცკური ცხენების შთამომავალს — და არც მასავით ამაყ მოხუცს აკადრებს.

მინდა რაღაც ვკითხო ცხენის ასაკის, ადამიანის ხნოვანებასთან მისი შედარების შესახებ. მაგრამ ვხედავ, რა სევდა ჩაუდგა თვალებში. მოწყვეტით როგორ დაუტყაპუნა ხელი გავაზე, და ვჩუმდები.

ცხენები მზერით მიაცილებენ სტუმარს, შემდეგ თავს ხრიან და კვლავ მშვიდი ფრუტუნი და ხრამუნი ისმის თავლაში.

* * *

გამოჩენილი გერმანელი სპეციალისტი ვ. მიუზელერი თავის სახელმძღვანელოში წერს: „ცხენოსნობა თავისთავად მშვენიერია და იგი შეიძლება ხელოვნებად იქცეს. ყველას ეხალისება, ნამდვილ ოსტატად წარმოიდგინოს თავი, მაგრამ მხოლოდ ის მიაღწევს ამას, ვინც ძალასა და დროს არ იშურებს ოსტატობის დასახვეწად, დღითიდღე იახლოებს და უახლოვდება ცხენს, ჯიუტად ეუფლება იმ სიბრძნეს, რომელიც აუცილებელია ოსტატი მხედრისთვის. ცხენზე ჯდომა არაა შავი მაგია, ამის სწავლა ყველას შეუძლია".

მაგრამ ეს იმედიანი დაპირება (თავისთავად. საკმაოდ სკეპტიკურ წიგნში) მრავალი პირობის შესრულებას მოითხოვს; უპირველეს ყოვლისა კი — შუაკაცს, შუამავალს ცხენსა და მოსწავლეს შორის. და რაც ღრმა, ძველი ტრადიციებიდან და პირადი განცდიდან მომდინარე იქნება ამ შუაკაცის ცოდნა, მით უფრო ნაყოფიერ შედეგს მივიღებთ. ამას ვგულისხმობდით ცხენენჯის ცნების შეიძლება არცთუ სრულად გამოკვეთილ, მაგრამ მიახლოებითად მაინც გამოთქმულ განმარტებაში. ამის გარეშე ცხენოსნური მშვენიერებისა და მხედრული ხელოვნების აუცილებელი სულიერი კომპონენტი — ცხენი, ჩვენს მკაცრ და ანგარიშიან დროში, შეიძლება უსულო სპორტულ საჭურველად, სამედიცინო დანადგარად, ცუდმედიდობისა და მომხვეჭელობის საშუალებად იქცეს. ეს კი, საერთოდ, ცხენისა და ცხენოსნობის გაუფასურება იქნებოდა. ამიტომაც მინდოდა ზოგი რამ მეამბო იმ მოხუც კაცზე, რომელიც დღეს ჩვენს ქალაქში ამ გაუფასურების ერთ-ერთი დაუძინებელი მტერია.

ნოდარ ეგრალიძე.

სპეციალისტის ტრიბუნა

დებულება სრულყოფილი უნდა იყოს

ყოველი შეჯიბრება ჩატარებული სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის დამაგვირგვინებელი ნაწილია. მუშაობის მომდევნო ეტაპს სწორედ ასპარეზობათა შედეგების მაღალკვალიფიციური, პროფესიონალური, ღრმა, შემოქმედებითი ანალიზითა და სინთეზით მიღებული დასკვნები ედება საფუძვლად.

ასპარეზობებს ატარებენ და შედეგებს აჯამებენ შეჯიბრებათა წესების, დებულების და პროგრამის მიხედვით. ძირითადად ამ სამი დოკუმენტის შედგენის ხარისხი განსაზღვრავს სასწავლო-საწვრთნელი პროცესის შინაარსს, მიმართულებას.

წესების ერთ-ერთი მთავარი ნაწილია გამარჯვებულთა განსაზღვრა. სპორტის უმრავლეს სახეობებში ასპარეზობის შედეგს ზღვრული სიზუსტით აღნუსხავს ობიექტური მაჩვენებელი: წამი, მეტრი, კილოგრამი, გატანილი ბურთი, მიზანში მოხვედრის სიზუსტე, ორთაჭიდილი. სპორტულ და მხატვრულ ტანვარჯიშში, წყალში ხტომაში, ფიგურულ სრიალში, სინქრონულ ცურვაში... შეჯიბრების შედეგი დგინდება ვიზუალურად, მეტნაკლებად ზუსტ ქულებში გამოხატული სუბიექტური მაჩვენებლით, რაც ხელს არ უშლის მთავარი ამოცანის — მოასპარეზეთა შორის ადგილების სწორად განაწილების წარმატებით გადაწყვეტას. მაშასადამე, სპორტსმენის მიერ მიღებული შეფასება ეჭვმიუტანელი და საბოლოოა.

ბოლო წლებში მოქმედი სპორტული ტანვარჯიში შეჯიბრებათა წესების გამარჯვებულთა განმსაზღვრელ რამდენიმე პუნქტში დაშვებულია სერიოზული შეცდომები, რის გამოც პირადი და გუნდური ადგილები შესაძლოა არასწორად განაწილდეს:

I. პირველი პუნქტი: „გუნდური პირველობა განისაზღვრება №1 შეჯიბრებაში ჩასათვლელ მონაწილეთა შედეგებით ტანვარჯიშული მრავალჭიდის ყოველ სახეობაში" ხელს არ უწყობს ტანვარჯიშის მთავარი ამოცანის — ძლიერი მრავალჭიდელის აღზრდის რთულ საქმეს, ყოველთვის ვერ ავლენს უძლიერეს გუნდს.

მოვიყვანოთ ქალთა ორი გუნდის ნებისმიერი პროგრამით შეჯიბრების მაგალითი, სადაც გუნდურ ჩათვლაში შედის ყოველ სახეობაში ოთხიდან სამი მონაწილის საუკეთესო ქულათა ჯამი (ფრჩხილებში მოთავსებული ქულები ჩათვლაში არ შედის):

პირველი გუნდის შედეგები:

№ 1 — 9,5 9,7 9,6 (9,4) = 38,2

№ 2 — 9,4 9,4 (9,3) 9,6 = 37,7

№ 3 — 9,5(9,2) 9,4 9,5 = 37,5

№ 3 — (9,3) 9,3 9,4 9.5 = 37,5

28,4 + 28,4 + 28,4 + 28,6 = 113,8 ქულა

მეორე გუნდის შედეგები:

№ 5 — (7,3) 9,5 9,4 9,5 = 35,7

№ 6 — 9,6 (6,8) 9,6 9,6 = 35,6

№ 7 — 9,5 9,6 (6,8) 9,6 = 35,5

№ 8 — 9,5 9,4 9,5 (7,0) = 35,4

28,6 + 28,5 + 28,5 + 28,7 = 114,3 ქულა

შეჯიბრების ამ ოქმ-ტაბულაში ციფრები მარცხნივ აღნიშნავენ ტანმოვარჯიშეთა ნომრებს და მათ მიერ დაკავებულ ადგილებს მრავალჭიდში. სპორტსმენის ნომრის გასწვრივ დაწერილი რიცხვები აღნიშნავენ შესაბამისი ტანმოვარჯიშის მიერ მიღებულ შეფასებებს და მათ ჯამს მრავალჭიდში, ვერტიკალზე გამოყვანილი რიცხვები არის გუნდის მიერ მიღებული შეფასებები და მათი ჯამი შესაბამის იარაღზე.

როგორც ვხედავთ, იარაღობრივი ჩათვლისას მეორე გუნდი 114,3 ქულით უგებს პირველ გუნდს, რომელმაც 113,8 ქულის მოგროვება შეძლო, ეს მაშინ, როდესაც მრავალჭიდში პირველი გუნდის ყოველი ტანმოვარჯიშე გაცილებით ძლიერია მეორე გუნდის თითოეულ ტანმოვარჯიშეზე.

თუ მეორე გუნდის ოქმ-ტაბულაში ტანმოვარჯიშეთა შედეგებს ვცვლით ნულიდან ფრჩხილებში ჩასმული რიცხვების ფარგლებში, მეორე გუნდის ტანმოვარჯიშეთა შედეგები მრავალჭიდში დიდად შემცირდება და მივიღებთ მოყვანილი შემთხვევის უამრავ ვარიანტს გუნდური შედეგების შეუცვლელად.

იარაღობრივი ჩათვლა მით უფრო ნაკლებად ობიექტურია, რაც უფრო ნაკლებია გუნდში ჩასათვლელ ტანმოვარჯიშეთა რაოდენობა. ასეთი ჩათვლა ობიექტური შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩათვლაში შედის გუნდის ყოველი წევრის შედეგი.

ამრიგად, პირველი პუნქტი ასე უნდა შესწორდეს: „გუნდური პირველობა განისაზღვრება № 1 შეჯიბრებაში ყველა მონაწილის შედეგებით ტანვარჯიშული მრავალჭიდის ყოველ სახეობაში ან ჩასათვლელ ტანმოვარჯიშეთა მიერ მრავალჭიდში მიღებულ ქულათა უდიდესი ჯამით".

გუნდური პირველობის შესწორებული პუნქტის ორივე მეთოდით განსაზღვრისას პირველი გუნდი უგებს მეორეს დიდი სხვაობით, რაც არა მარტო გუნდების მომზადების ჭეშმარიტ სურათს იძლევა, არამედ კარგ სტიმულსაც ძლიერი მრავალჭიდელის მომზადების ძნელ საქმეში.

II. გუნდურ შეჯიბრებებში სათანრიგო კოეფიციენტებს იყენებენ სხვადასხვა თანრიგის პროგრამების სიძლიერის განსასხვავებლად. მისი სიდიდე მომიჯნავე თანრიგებს შორის შემოფარგლულია 0,05-ით.

მე-5 პუნქტი: „გუნდურ შეჯიბრებაში მონაწილეთა მიერ მიღებული 8 ქულაზე ნაკლები შეფასება კოეფიციენტზე არ მრავლდება" გულისხმობს ერთი და იგივე თანრიგში — თანრიგს შიგნით კოეფიციენტის გამოყენებას, რამაც შეიძლება გუნდური პირველობის არასწორი განაწილება გამოიწვიოს. ასე მაგალითად: მოპაექრე გუნდების თითო ტანმოვარჯიშის შედეგის 7,95 და 8,0 სხვაობა კოეფიციენტის 1,05 გამოყენების შემდეგ ცალკეულ იარაღზე 0,4 ქულით, ხოლო ქალთა და ვაჟთა მრავალჭიდში შესაბამისად 3,2 და 4,8 ქულით იზრდება. მაშასადამე, მოსალოდნელია გუნდური პირველობის არასწორად განაწილების უამრავი ვარიანტი. ამიტომ წესებში უნდა ჩაიწეროს: „თანრიგის შიგნით კოეფიციენტი არ გამოიყენება".

III. მე-6 პუნქტი: „ფინალურ შეჯიბრებებში გამარჯვებულები განისაზღვრება № 1 შეჯიბრების ჯამის ნახევრის და ფინალში ნაჩვენები შედეგის შეკრებით", არაა ზუსტი არც ფორმით და არც შინაარსით: ჯერ ერთი, ფინალში გამარჯვებულებს კი არა, ცალკეულ იარაღებზე და მრავალჭიდში გამარჯვებულებს ვსაზღვრავთ და მეორე: როდესაც „ა" და „ბ" ტანმოვარჯიშეთა № 1 შეჯიბრების შედეგების სხვაობა $ა>0$, „ბ" და „ა" ტანმოვარჯიშეთა ფინალური შედეგების სხვაობა $ბ>0$, „ა" ყოველთვის უგებს „ბ"-ს თუ კი $ა>ბ$, ხოლო როდესაც შესაკრებად № 1 შეჯიბრების შედეგების ნახევარ ჯამს ვიღებთ, „ა" მოუგებს „ბ"-ს მხოლოდ მაშინ, როცა $ა>2ბ$, ე. ი. იქმნება იმის შესაძლებლობა, რომ მოპაექრეთა შორის ადგილები არასწორად განაწილდეს. ამიტომ მე-6 პუნქტი ასე უნდა დაზუსტდეს: „ცალკეულ იარაღებზე და მრავალჭიდში გამარჯვებულები განისაზღვრება № 1 შეჯიბრებისა და ფინალის შედეგების ჯამით".

მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითები ორძელზე და თავისუფალ ვარჯიშში შეჯიბრებისას სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადიდან. ტანმოვარჯიშის გვარის გასწვრივ პირველი ორი და მომდევნო რიცხვები, შესაბამისად № 1 შეჯიბრების წინასწარი და ფინალური შედეგები, ჯამი და ადგილია.

მოქმედი პუნქტით:

ი. კოროლიოვი —

9.55 9,7 9.625 9,8 19.425 I

ვ. არტემევი —

9.65 9.8 9.725 9,7 19.425 II

დაზუსტებული პუნქტით:

ი. კოროლიოვი —

9.55 9.7 19.25 9.8 29.05 II

ვ. არტემევი —

9,65 9.8 19.45 9.7 29.15 I

ასეთივე მდგომარეობაა თავისუფალ ვარჯიშში ი. კოროლიოვსა და დ. ბელოზერჩევს შორის. ოქმებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ ი. კოროლიოვმა დაუმსახურებლად მიიღო ორი ოქროს მედალი, ფაქტობრივად გამარჯვებულები კი მეორე ადგილზე აღმოჩნდნენ. მოსალოდნელია უფრო ღრმა გადანაცვლებებიც, რომელთა წყალობით შესაძლებელია მეტად მნიშვნელოვანი შეცდომები დავუშვათ, ასე მაგალითად: მომიჯნავე გუნდების სპორტსმენების პირველ-მეოთხე ადგილების ერთი შენაცვლება 32, ხოლო ორი 64 ქულის სხვაობას იძლევა, რამაც შესაძლოა შეცვალოს ადგილები არა მარტო სახეობაში, არამედ სპარტაკიადის მთელს კომპლექსში.

ამ საკითხზე იხილეთ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მე-7 (1948 წ.) სამეცნიერო კონფერენციაზე ჩვენს მიერ წაკითხული მოხსენება, რომლის დასკვნები მაშინვე მიიღეს და დღემდე იყენებენ № 1 შეჯიბრებებში. ფინალური შეჯიბრებების შემოღების შემდეგ კი რიტმულად კვლავ მეორდება 35 წლის წინათ გასწორებული შეცდომა.

ტანმოვარჯიშეს უმაღლესი შეფასება — 10 ქულა ეძლევა სავალდებულო და ნებისმიერი ვარჯიშის — ძლიერი, ორიგინალური, ნოვატორული, შთამბეჭდავი, ვირტუოზული კომბინაციის უნაკლო შესრულებისათვის. ნაწარმოებსა და მის შესრულებაში დაშვებული ნაკლოვანებებისათვის დადგენილი სიდიდეები უნდა დააკლდეს 10 ქულას. შეფასების ამოსავლად 10-ზე ნაკლები ქულის დადგენა და ნოვატორული, ორიგინალური, შთამბეჭდავი, ვირტუოზული ნებისმიერი ვარჯიშის ასეთივე შესრულებისათვის მისი დადგენილი სიდიდეთა დამატებით 10-მდე შევსება მეთოდურად გაუმართლებელია, ტანვარჯიშის მსაჯობის არსს ვერ ეგუება.

სპორტული ტანვარჯიშის შეჯიბრებათა წესებში არის სხვა მნიშვნელოვანი ხარვეზებიც.

კომპლექსურ შეჯიბრებათა დებულებების შემუშავება დიდი ხელოვნებაა. იგი მოითხოვს რესპუბლიკაში სპორტის მდგომარეობის ზედმიწევნით კარგად ცოდნას, მრავალი საკითხის იმგვარ გადაწყვეტას, რაც ხელს შეუწყობს სპორტსმენების მიერ ფინალურ შეჯიბრებებში მაქსიმალური შედეგების ჩვენებას, მაღალი რანგის სპორტსმენების აღზრდის რთული საქმით სპორტორგანიზაციების დაინტერესებას.

სპორტსაზოგადოება „განთიადის" მიერ რესპუბლიკის VII და VIII სპარტაკიადებზე დიდი სხვაობით პირველი ადგილის, ხოლო ფინალურ — საკავშირო სპარტაკიადებზე საქართველოს სპორტსაზოგადოებებს შორის შესაბამისად IV და III ადგილების დაკავება რესპუბლიკის სპარტაკიადის დებულებათა მეტად საგულისხმო ხარვეზებზე მეტყველებს და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებზე ჩვენი სპორტული დელეგაციის გულსატკენი დაბალი შედეგების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზთაგანია.

ბ. პილაია,

საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საკავშირო და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ტანვარჯიშში.

თქვენი აზრი?

უმაღლესი ლიგა

გუშინ მოსკოვის „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის 21 აგვისტოს გამოტოვებული მატჩი მოსკოვისა და თბილისის დინამოელთა შორის.

თამაში დამთავრდა მოსკოვის „დინამოს" გამარჯვებით — 1:0.

● ფეხბურთი

„ერთი წუთი დონ ალფრედოსთან"

ასეთი სათაურით გამოაქვეყნა პრაღის ჟურნალმა „გოლმა" თავისი კორესპონდენტის ი. ვოლარიკის საუბარი მადრიდის „რეალის" მწვრთნელ ა. დი სტეფანოსთან. გთავაზობთ ზოგიერთ ნაწყვეტს ამ ინტერვიუდან:

— თქვენ მაღალი ტექნიკით გამოირჩეოდით. რით მიაღწიეთ ამას?

— ქუჩა იყო ჩემი ცხოვრების სკოლაც და ფეხბურთის უნივერსიტეტიც. მშობლები არ მიშლიდნენ ქუჩაში ყოფნას და ფეხბურთის თამაშს, შემეძლო თუნდაც დაღამებამდე მეთამაშა.

— თქვენ, ამავე დროს, გასაოცარი ფიზიკური მომზადება გქონდათ.

— აქაც დიდი როლი ითამაშა ბავშვობისას ქუჩაში ჩატარებულმა მატჩებმა, რომლებიც მრავალ საათს გრძელდებოდა... როცა ბოლოსდაბოლოს გადავწყვიტე ბარსელონის „ესპანიოლში" დამემთავრებინა თამაში, 40 წელს სულ 4 დღე მაკლდა.

— თქვენ სამხრეთ ამერიკის ქვეყნის ნაკრებშიც გითამაშიათ და ევროპული ქვეყნის ნაკრებშიც. რომელი ფეხბურთი უფრო მოგწონთ?

— სამხრეთამერიკული ფეხბურთი იმპროვიზაციით აღსავსეა, თითქოს — ბოჰემურიც, მაგრამ რაც შეეხება ევროპას, აქაც ბევრი გამოჩენილი ფეხბურთელი აღიზარდა. ორივე ფეხბურთს თავისი დადებითი მხარეები აქვს.

სურათზე: ა. დი სტეფანო.

მადრიდი. ესპანეთის ეროვნული ჩემპიონატის IX ტურში ერთმანეთს შეხვდნენ მადრიდის გუნდები „რეალი" და „ატლეტიკო". „რეალმა" შესანიშნავად ჩაატარა მატჩი, გაიმარჯვა ანგარიშით 5:0 და 12 ქულით სათავეში ჩაუდგა გათამაშებას. ამდენივე ქულა აქვთ „მალაგას" და მადრიდის „ატლეტიკოს", მაგრამ ისინი ლიდერს ჩამორჩებიან გატანილი და მიღებული ბურთების უარესი სხვაობით.

რომი. იტალიის პირველობაზე კვლავ წარმატებით გამოდის შარშანდელი ჩემპიონი „რომა", რომლის შემადგენლობაში თამაშობენ ბრაზილიელი ფეხბურთელები ფალკაო და სერეზო. „რომამ" განვლილ ტურში ანგარიშით 5:1 დაამარცხა „ნაპოლი". მარცხი განიცადა „იუვენტუსმა", რომელმაც წააგო „სამპდორიასთან" — 1:2. ახლა, 7 ტურის შემდეგ, 12 ქულით ლიდერობს „რომა".

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

მონტევიდეო. 70 ათასი მაყურებელი დაესწრო სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის პირველ მატჩს ურუგვაისა და ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის.

მასპინძლებს საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, ბრაზილიელები უმეტესად მხოლოდ თავს იცავდნენ და ერთ-ერთ სახიფათო ვითარებაში ლეანდრომ თავის საჯარიმო მოედანზე დაარღვია წესი. პენალტი ზუსტად დაარტყა ფრანჩესკოლიმ — 1:0. მატჩის დასასრულს ურუგვაელმა დიოგომ მეორე ბურთი გაიტანა და მატჩი დამთავრდა ანგარიშით 2:0 მასპინძელთა გამარჯვებით.

აღსანიშნავია, რომ ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში ამ დღეს არ გამოდიოდნენ ცნობილი ოსტატები ზიკო, ფალკაო, ტონინიო სერეზო და სოკრატესი. საპასუხო მატჩი 4 ნოემბერს გაიმართება ბრაზილიაში.

ოლიმპიური შესარჩევი ტურნირის პროგრამით ევროპის „ბ" ჯგუფში ერთმანეთს შეხვდნენ ნორვეგიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდები. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. ახლა ამ ჯგუფში ლიდერობს გდრ-ის ნაკრები — 9 ქულა. II ადგილზე არიან პოლონელები — 8 ქულა.

ევროპის „დ" ჯგუფის „ა" ქვეჯგუფში პორტუგალიის ოლიმპიელმა ფეხბურთელებმა წააგეს ისრაელის გუნდთან — 0:1. 3 ტურის შემდეგ ამ ქვეჯგუფში ლიდერობს გფრ-ის ნაკრები — 4 ქულა.

„ლივერპულის" წინადადება

ინგლისის ცნობილი საფეხბურთო კლუბის „ლივერპულის" დირექტორატმა უეფა-ში წინადადება შეიტანა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ცვლილების შესახებ.

ინგლისელთა წინადადება ასეთია: ჩემპიონთა თასის პირველი წრის შემდეგ დარჩენილი კლუბები უნდა განაწილდნენ 4 ქვეჯგუფად და გათამაშება განაგრძონ ერთ წრედ. ჯგუფებში გამარჯვებული გუნდები შემდგომში ერთმანეთს შეხვდებიან ნახევარფინალებში.

უეფა-ს „ლივერპულის" წინადადება ჯერ არ განუხილავს.

ბ. ფოგთსი — მწვრთნელი

იაპონიის ფეხბურთელთა ნაკრები ინტენსიურად ემზადება მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისთვის. აქაურმა ფეხბურთის ფედერაციამ კონტრაქტი დადო ცნობილ დასავლეთგერმანელ ფეხბურთელ ბ. ფოგთსთან, რომელიც სათავეში უნდა ჩაუდგეს იაპონიის ნაკრებს. ახალმა მწვრთნელმა პირველი 6-დღიანი საწვრთნელი შეკრება უკვე ჩაატარა ქ. ოსაკაში.

საინტერესო სიახლე

როგორც ჩეხოსლოვაკიის ჟურნალი „გოლი" (პრაღა) იუწყება, ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ საინტერესო გადაწყვეტილება მიიღო: 1984 წლიდან მოყოლებული სისტემატურად ჩატარდება რესპუბლიკის პირველობა ახალგაზრდულ გუნდებს შორის (23 წლამდე). ჩეხოსლოვაკია პირველი ქვეყანაა, რომელიც ასეთ ჩემპიონატს ჩაატარებს.

დ. ძოფი ჰონოლულუში

იტალიური გაზეთები „კორიერე დელა სერა" და „ტუტო სპორტი" იუწყებიან, რომ განთქმულმა იტალიელმა მეკარემ დ. ძოფმა დატოვა ტურინი და ჰონოლულუში (ჰავაის კუნძულები) გადავიდა. გაზეთები იმასაც ვარაუდობენ, რომ დ. ძოფი ადგილობრივ საფეხბურთო კლუბში აპირებს თამაშს, მერე კი მწვრთნელად იმუშავებს.

ფრიც ვალტერი — № 2

წლეულს გფრ-ის ბუნდესლიგის წევრი გახდა მანჰაიმის „ვალდჰოფი", რომელიც მანამდე არ გამოირჩეოდა არაფრით. მის შემადგენლობაში ყურადღებას იპყრობს გამოჩენილი ფეხბურთელის ფრიც ვალტერის შვილი — ფრიც ვალტერი № 2. შვილიც, მამის მსგავსად, თავდამსხმელია და დიდ იმედებს იძლევა.

კიდევ ერთხელ რეკორდზე

ახალგაზრდა თბილისელ ველოსიპედისტს ო. მჭედლიშვილს, რომელმაც სვლით 500 მეტრზე გიტში მსოფლიო რეკორდი დაამყარა, პრესა ხშირად იხსენიებდა.

გვინდა კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ ამ რეკორდს და გიტის ბოლო წლების ისტორიას.

500 მეტრზე (ისევე, როგორც 200 მეტრზე) გიტი მართლაც რომ „სარეკორდო“ დისტანციაა. მსოფლიო ჩემპიონატები ამ მანძილზე არ ტარდება და მსოფლიოს უძლიერესი მრბოლები უმაღლეს მიღწევებს საგანგებოდ ორგანიზებულ რბოლებში უტევენ. მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, მართალია იშვიათად, ტარდება შეჯიბრებები გიტში და იგი ერთბაშად რამდენიმე ათეულ მონაწილეს უყრის თავს.

მსოფლიო რეკორდების დამყარება ტრეკზე რბოლაში (გზატკეცილზე რეკორდები საერთოდ არ აღინუსხება) მრავალ გარემოებებზეა დამოკიდებული: ტრეკის ზომა, მისი საფარი, სიმაღლე ზღვის დონიდან, კლიმატური პირობები. მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე ხის საფარიანი ე. წ. „რეკორდების სამჭედლო“ ტრეკია. წინათ თითქმის ყველა მსოფლიო რეკორდი მყარდებოდა მილანის „ვიგორელიში“ (სიგრძე 397 მ), რომელიც ახლა ძალზე ცუდ მდგომარეობაშია. იქ ამჟამად მხოლოდ ძაღლების რბენა ეწყობა. დახურული ტრეკებიდან განთქმული იყო ციურიხის „ორლიკონი“ (250 მ). ამ ბოლო დროს ბევრი რეკორდი დამყარდა მილანის სპორტის სასახლეში (250) და განსაკუთრებით კრილატსკოეს ოლიმპიურ ტრეკზე. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დახურულ და ღია ტრეკებზე დამყარებული რეკორდები ცალ-ცალკე აღინუსხება, ასევე ცალ-ცალკე ფიქსირდება მოყვარულთა და პროფესიონალთა რეკორდები.

მსოფლიო რეკორდები მოკლე გიტებში (200 და 500 მ) დიდხანს „ცოცხლობს“. საკმარისია გავიხსენოთ, რომ მსოფლიო რეკორდი (28,60) პროფესიონალთა შორის დახურულ ტრეკზე, რომელიც 1956 წლის 17 აგვისტოს ციურიხში „ორლიკონზე“ ცნობილმა შვეიცარიელმა მრბოლელმა ოსკარ პლატნერმა დაამყარა, ჯერაც არავის გაუუმჯობესებია. მას შემდეგ პლატნერმა არა მარტო დატოვა ტრეკი, არამედ დაასრულა სამწვრთნელო მუშაობის ხანგრძლივი კარიერა და შარშან, 60 წლის ასაკში პენსიაზე გავიდა.

ღია ტრეკზე პროფესიონალთა რეკორდმა (28,80), რომელიც 1955 წლის 29 აგვისტოს „ვიგორელიზე“ დაამყარა იტალიელმა მარიო მორეტინიმ, 27 წელი გაძლო. ეს მიღწევა გააუმჯობესა მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონმა გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში რობერტ დილ-ბუნდიმ. პროფესიონალებში გადასვლის შემდეგ, მან ახალ ბეტონისსაფარიან ტრეკზე „ორლიკონზე“ 28,705 აჩვენა. ადრინდელი რეკორდი 0,095-ით გაუმჯობესდა (ბოლო წლებში რეკორდები 1 კმ-მდე მანძილებზე ელექტრონული აპარატურით, წამის მეათასედის სიზუსტით ფიქსირდება).

მოყვარულები შედარებით აქტიურად უტევდნენ რეკორდებს. 1965 წლის სექტემბერში პირველმა საბჭოთა მსოფლიო ჩემპიონმა სპრინტში ომარ ფხაკაძემ ერევანში „სპარტაკის“ ბეტონისსაფარიან ტრეკზე (250 მ) 500 მ სვლით გიტში 29,01 აჩვენა. მაგრამ ეს მიღწევა მსაჯებმა ზოგიერთი ფორმალობის დაუცველობის გამო ოფიციალურ მსოფლიო რეკორდად არ აღიარეს. ორი წლის შემდეგ, წინაოლიმპიურ კვირეულზე, მაღალმთიანი მეხიკოს პირობებში, ქალაქის სპორტული ცენტრის მძიმე ბეტონისსაფარიან ტრეკზე ფრანგმა პიერ ტრანტენმა მანძილი 27, 85-ში დაფარა. მომდევნო დღეს ო. ფხაკაძემ დაამყარა ფენომენალური რეკორდი 200 მეტრზე — 10,61 (მხოლოდ 15 წლის შემდეგ შეძლო ს. კოპილოვმა მანძილის უფრო სწრაფად გავლა კრილატსკოეს დახურულ ტრეკზე — 10,249), თუმცა პ. ტრანტენის შედეგის გაუმჯობესება 500 მეტრზე — 29. 00 ვერ შეძლო.

ორი კვირის შემდეგ ტრანტენმა მოყვარულთა მსოფლიო რეკორდი დაამყარა ციურიხის დახურულ ტრეკზე — 28, 89 (1967 წ., 5 ნომბერი). 1976 წლის 12 ივნისს მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა ფრანგმა დანიელ მორელონმა მილანის ახალ სპორტის სასახლეში 28,75 აჩვენა. ორი წლის შემდეგ 1978 წლის 5 აგვისტოს იტალიელმა ჯორჯო როსიმ მილანშივე 500 მეტრი 28, 304-ში დაფარა. 1979 წლის 9 ივლისს შვეიცარიელმა ჰაინც იზლერმა ციურიხში 28, 163 აჩვენა. 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრებამდე ბრწყინვალე სპორტულ ფორმაში მყოფმა მსოფლიო ჩემპიონმა სერგეი კოპილოვმა, კრილატსკოეს ველოტრეკზე მანძილი 28, 040-ში დაფარა. დაბოლოს, ჩვენთვის უკვე ცნობილი, წლეულს, 13 ოქტომბერს დამყარებული ო. მჭედლიშვილის შედეგი — (27,836.) აბსოლუტურად სარეკორდოა ყველა კატეგორიის მრბოლთათვის (მოყვარულებისა თუ პროფესიონალებისთვის) და ყველა ტიპის ტრეკისთვის, მათ შორის მაღალმთიანისთვისაც. თუმცა მან მხოლოდ 0,014 წამით გააუმჯობესა ტრანტენის 16 წლის წინანდელი მიღწევა, რეკორდი მაინც რეკორდია, მით უმეტეს, როცა მას ამყარებს იუნიორი, რაც საერთოდ არ მომხდარა ველოსპორტში მსოფლიო რეკორდების ისტორიაში.

ხშირად კითხულობენ, როგორი შედეგები ექნებოდათ 1965-1968 წლების ტრანტენს, ფხაკაძეს, მორელონს მსოფლიოს უდავოდ ყველაზე სწრაფ კრილატსკოეს ტრეკზე? და კიდევ: თუ მოსკოვში გაიმართებოდა მსოფლიოს უძლიერეს სპრინტერთა შეჯიბრება 500 მეტრზე გიტში, როგორი იქნებოდა შედეგები? კითხვები, რა თქმა უნდა, უაღრესად „თეორიულია“. შეუძლებელია სპორტში სხვადასხვა პერიოდის ჩემპიონთა შედარება. შეუძლებელია შეადარო მექსიკის სპორტული ცენტრის ბეტონის საფარი და მაღალმთიანი მეხიკოს გაიშვიათებული ჰაერი კრილატსკოეს ხისსაფარიან სარბიელსა და კონდიცირებულ ჰაერს. შემიძლია, დაგარწმუნოთ, რომ 60-იან წლების „ასები“, ასეთ ტრეკზე ასპარეზობის შესაძლებლობა რომ ჰქონოდათ, თავს არ შეირცხვენდნენ. რაც შეხება მეორე კითხვას, ჩემი აზრით, მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ მაშინვე მოსკოვში თუ მოვუყრით თავს 10 უძლიერეს სპრინტერს, 5 მათგანი შეძლებს 28 წამის „დახურდავებას“. პირველ რიგში ესენი იქნებიან ს. კოპილოვი და ლ. ჰესლიხი (გდრ). თუ ვისმჯელებთ 200 მეტრზე ს. კოპილოვის შედეგის მიხედვით, მას 500 მეტრის დაფარვა 27,0-27,5-ში შეუძლია. ასე რომ, ჩვენმა ახალგაზრდა რეკორდსმენმა ო. მჭედლიშვილმა ამ სასიხარულო წარმატების შემდეგ უნდა იფიქროს ახალ მიღწევებზე მოკლე გიტებში, რათა მზად იყოს მომავალში გადალახოს 10,5 (200 მეტრზე) და 27, 5 (500) ზღვარი.

მ. ბარამია,

ველოსპორტის საერთაშორისო ტექნიკური კომისიის წევრი.

კუბელ ფრენბურთელთა გადაწყვეტილება

ნიუ-იორკი. კუბის ვაჟ ფრენბურთელთა გუნდმა უარი თქვა აშშ-ში ტურნეზე. ნავარაუდევი იყო, რომ თავისუფლების კუნძულის სპორტსმენები კანადის ტურნირის შემდეგ აშშ-ის ექვს ქალაქში გამოვიდოდნენ, მაგრამ ისინი შინ დაბრუნდნენ გრენადაში ამერიკის ინტერვენციის გამო,— ეს განაცხადა ტურნეს ერთ-ერთმა ორგანიზატორმა.

აშშ-ის ფრენბურთის ასოციაციამ, — როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, — ბრაზილიისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ფედერაციებს მიმართა: ხომ ვერ შეძლებენ გამოგზავნონ თავიანთი სპორტსმენები ნაცვლად კუბელებისა, რომლებმაც უარი თქვეს მათთან თამაშზე.

(საკდესი).

● **ჩოგბურთი**

ვეტერანებმა „დავა“ დაამთავრეს

თელავის ჩოგბურთის კორტებზე დამთავრდა ვეტერან ჩოგბურთელთა საკავშირო ტურნირი.

მაყურებლები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს I ჯგუფის (35-45 წლის) ვაჟთა ფინალურ ორთაბრძოლას, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ესტონელ ტომას ლეიუსსა (იგი ამჟამად უზბეკეთის ნაკრები გუნდის მთავარი კონსულტანტია) და თბილისელ სპორტის ოსტატ, ფიზკულტურისა და სპორტის ინსტრუქტორს ს. ხაჩატურიანს შორის. ეს საინტერესო შეხვედრა, როგორც მოსალოდნელი იყო, მოიგო ლეიუსმა — 6:2, 6:1 — და პირველი პრიზი მოიპოვა. III ადგილზე გავიდა სპორტის ოსტატი ლ. მძინარიშვილი.

არანაკლებ საინტერესო იყო 45-55 წლის ვეტერანთა ორთაბრძოლები. აქ გაიმარჯვა კალინინგრადელმა სპორტის ოსტატმა ა. ბორცოვმა, რომელმაც ფინალში სძლია თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფიზაღზრდის მასწავლებელს, საკავშირო კატეგორიის არბიტრს დ. კერესელიძეს, III ადგილი ხვდა დ. კერესელიძეს.

ქალთა შორის გაიმარჯვეს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ლენინგრადელმა ა. ერემეევამ, რომელმაც მხოლოდ მესამე გადამწყვეტ პარტიაში შეძლო ჩვენი თანამემამულის, დინამოელი ნ. თუხარელის დამარცხება. III ადგილზეა სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი ტიიუ აიმრე-ნეილანი.

ვაჟთა წყვილებში ჩემპიონობა მოიპოვეს საქართველოს მრავალგზის ჩემპიონებმა, სპორტის ოსტატებმა ვ. გოგლიძემ (ქართული საჭადრაკო სკოლის ფუძემდებლის ვ. გოგლიძის შვილი) და ნ. მძინარიშვილმა. შერეულ წყვილთა თანრიგში უძლიერესები იყვნენ ესტონელები ლეიუსი და აიმრე-ნეილანი.

ა. მალაიანცი,

საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

„ლელოს“ პასუხი

შესანიშნავი ოთხეული

მკითხველებს ნ. შოვნაძეს და რ. გომელაურს (თბილისი) აინტერესებთ როდის შემოიღეს ქალთათვის სსრ კავშირის დიდოსტატის წოდება, როგორია მისი მიღების პირობები და ვის აქვს იგი მინიჭებული.

1975 წელს სსრ კავშირის სპორტკომიტეტმა მოჭადრაკე ქალთათვის დააწესა „სსრ კავშირის დიდოსტატის“ წოდება. დებულებაში ნათქვამია, რომ ეს საპატიო ტიტული მიენიჭება მოჭადრაკეს, რომელიც შეასრულებს ერთ-ერთს ამ პირობათაგან: 1) მოიპოვებს მსოფლიო ჩემპიონის სახელს, 2) 6 წლის მანძილზე ორჯერ მონაწილეობას მიიღებს მატჩში მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის, 3) 6 წლის მანძილზე სამჯერ გახდება სსრ კავშირის ჩემპიონი და 4) 6 წლის მანძილზე ერთხელ ითამაშებს მატჩს მსოფლიო პირველობაზე და ერთხელაც გაიმარჯვებს სსრ კავშირის ჩემპიონატში.

სსრ კავშირის დიდოსტატის ტიტული პირველმა მიიღო ნონა გაფრინდაშვილმა 1975 წელს, მსოფლიო პირველობაზე ნ. ალექსანდრიასთან მატჩში გამარჯვების შემდეგ.

მეორე დიდოსტატი გახდა მაია ჩიბურდანიძე, როცა 1978 წელს ნ. გაფრინდაშვილთან ორთაბრძოლაში მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

ეს ტიტული წლეულს მიენიჭათ ნანა ალექსანდრიასა და ირინა ლევიტინას. პირველმა ორჯერ (1975, 1981 წ. წ.) მიიღო მონაწილეობა მატჩში მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის, მეორემ — სამჯერ (1978, 1979, 1980 წ.წ.) გაიმარჯვა სსრ კავშირის ჩემპიონატში.

ამჟამად სსრ კავშირის დიდოსტატის სახელის ყველაზე რეალური კანდიდატია ნანა იოსელიანი, რომელმაც უკვე ორჯერ (1981, 1982, წ.წ.) მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი.

თ. გიორგაძე.

რედაქტორი ა. ბასილაია.

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

(აკ. წერეთლის პროსპექტი N 2)

5-6 ნოემბერი

ავტრაქციონი ვაზ „ავტოროდეო“

კასკადიორები „ჟიგულებზე“

გამბედაობა! სიმამაცე! სიზუსტე!

დასაწყისი 5 ნოემბერს 18 ს. 30 წთ; 6 ნოემბერს 13 ს.

ბილეთების გაყიდვა ორგანიზაციებში 4 ნოემბერს 10 საათიდან. საერთო გაყიდვა ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონის სალაროებში 5 და 6 ნოემბერს 10 საათიდან.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის. 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე — 07874